6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2025). *ტურიზმისა და მოგზაურობის სტატისტიკა*. https://www.geostat.ge
7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2025). *ტურიზმის განვითარების წლიური ანგარიში*. https://gnta.ge
8. United Nations Environment Programme. (2023). *Ecotourism and sustainable development report*. https://www.unep.org
9. World Tourism Organization (UNWTO). (2024). *Sustainable tourism development guidelines*.

Nature, Tourism, and Sustainability: The Importance of Ecotourism in Georgia

Nana Berdzenishvili

Summary

This paper discusses the importance of ecotourism in Georgia and its role in the protection of natural resources and sustainable development. Georgia is characterized by a diverse geographical environment, unique ecosystems, and rich biodiversity, which create an important basis for the development of ecotourism. The study focuses on the tourism potential of protected areas, national parks, and natural landscapes, as well as on the impact of tourism on the environment and local population. The paper shows that ecotourism contributes to economic development, raises environmental awareness, and promotes the preservation of natural heritage. As a result, ecotourism is considered an effective means of maintaining a balance between the interests of tourism and ecology and ensuring the sustainable development of the country.

Keywords: *ecotourism, sustainable development, protected areas, climate, natural resources, biodiversity, Georgia, environmental protection.*

ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების სამართლებრივი საფუძვლები

დარეჯან ჩხიროძე, როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

აბსტრაქტი: *ნაშრომში წარმოდგენილია ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების კანონების და ნორმების სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. ასევე განხილულია ამ სამართლებრივი საკითხების წინაპირობები და განვითარების დინამიკა, რომ თანამედროვე სამართალი სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დამცავი ნორმების და წესების განსაზღრული სახის ერთობლიობაა.*

საკვანძო სიტყვები: *სამართალი, კანონი, ეკოლოგია, მდგრადი განვითარება.*

შესავალი

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური სამართალი წარმოადგენს ყველა იმ სფეროს სამართლებრივ საკითხების და რეგულაციების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს სოციალურ-სამართლებრივ მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს საზოგადოებასა და გარემოს შორის.

სამართალი სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დამცავი ნორმების და წესების განსაზღრული სახის ერთობლიობაა. სამართლის წარმოშვება, მსგავსად სახელმწიფოსი უკავშირდება საზოგადოების გადასვლას ცივილიზაციის არსებობის ფორმაზე. პირველყოფილ აუცილებლობის საფუძველზე ე,ი. ჩვენებით ცივილიზაციის პირველ საფუძველზე წარმოიშვა ის კანონები, რომელიც ხაზგასმით არეგულირებდა ამ წყობას შემდგომ ეტაპზე, სახელმწიფო ადგენდა კანონებს და უზრუნველყოფდა მათ ცხოვრებაში გატარებას.

შინაარსი

კანონი სრულ განვითარებას მხოლოდ დემოკრატიის პირობებში პოულობს. მტკიცდება როგორც უმაღლესი კანონი, ე.ი. იქმნება სამართლებლივი სახელმწიფო.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონი:

– ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლებას.

– ღებულობს ღრმა საფუძველს და მტკიცდება ქვეყნის კონსტიტუციით.

– აერთიანებს დამოუკიდებელ და ძლიერ სამართალდამცავებს.

სამართლებრივ სახელწიფოს სიმბოლური გამოსახულება ანტიკურ პერიოდში იყო თემიდას სასწორის სახელწოდებით. თვით ტერმინი სამართლებრივი სახელმწიფო გერმანულია და ლიტერატურაში ,,პირველად ჩანს მე-10-ე საუკუნეში” და წარმოადგენდა უკანონო ფეოდალიზმის კრიტიკას, ახალ პირობებში ქადაგებდა ჰუმანიზმს და ადამიანის უფლებების იდეას.

სამართლებლივი სახელმწიფოს მთავარ ნიშანი: კანონის უზენაესობა, კანონის რეალურობა, პიროვნების თავისუფლება, სუვერენული სახელმწიფოს ორგანიზაცია და ფუნქციონირება წარმოადგენს, ასევე ხელისუფლების დაყოფას საკანონმდებლოდ და აღმასრულებლად.

კანონი ასრულებს განსაზღრულ დადებით როლს რათა არსებული გარემო კეთილსასურველია შეიქმნას ადამიანისათვის. განსაკუთრებულ სასიცოცხლო მდგომარეობაში სისტემას ,,საზოგადოება-გარემო” მიეცა ნორმალურ მოვალეობითი ხასიათი.

ეკოლოგიური მდგომარეობის რეგულირება მოითხოვს განსაზღრულ კანონს, რომელიც დაფუძნებული იქნება ქვეყნის კონსტიტუციაზე და საერთაშორისო და ადგილობრივ ნორმებზე. ქვეყნის კონსტიტუცია უმეტეს ქვეყანაში წარმოადგენს იდეალს, განხორციელებულს ,,ადამიანის უფლებების დეკლარაციიდან”-00 -1948წ. ასევე ადამიანის უფლებების სხვა აქტები.

ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები მიღებულია -1976წ. ცენტრალური ადგილი უჭირავს ნებისმიერი ადამიანის უფლებას, განვითარებაში, ჯანმთელობაში და გარემო პირობების ეკოლოგიურ ბალანსირებაში, ცხოვრების უფლებას ქვეყნის პირობებში და სხვა. ამ კანონზე დაყრდნობით მიღებულია თითოეული ქვეყნისათვის დაცვის კანონმდებლობა. მაგ. საქართველოში ის მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წ., და რომლის მიხედვითაც ხდება საქართველოში გარემოს დაცვის სამართლებრივი რეგულირება.

მუხლი 6. მოქალაქეთა უფლება-ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში.

მოქალაქეს უფლება აქვს:

– ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისთვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში,

– სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი,

– მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

– მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის,რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნა-შეუსრულებლობამ და სხვა.

საერთაშორისო დონეზე ადამიანისათვის მისაღები გარემოს შექმნაში, დიდ როლს ასრულებს -00 –1948წ სხვადასხვა ქვეგანაყოფები. დამუშავებულია მრავალი პროგრამა გა-

რემოს გასაუმჯობესებლად: (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია) გარემოს ჰიგიენა (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო პროგრამა). ,,სასოფლო-სამეურნო ქიმიკატები და ნარჩენები”. (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია). ,,ადამიანი და ბიოსფერო“. საერთო ხელმძღვანელობას მითითებული პროგრამის შესრულებაზე ახორციელებს (გარემოს დაცვის პროგრამა 1972წ.).

საერთაშორისო კომისიის მიერ გარემოზე და განვითარებაზე ყველა ქვეყნის მიმართ წარდგენილია შემდეგი სამართლებრივი პრინციპები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის:

ადამიანის ძირითადი უფლებებია:

– ყველა ადამიანს აქვს უფლება ჯანსაღ და ჯამთელობისათვის უვნებელ გარემოში იცხოვროს,

– თაობებს შორის თანასწორობა,

– სახელმწიფო ინარჩუნებს და იყენებს გარემოს და ბუნებრივ რესურსებს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით,

– წინასწარი შეტყობინება,

– ეკოლოგიური ნორმები და მონიტორინგი,

– მდგრადი განვითარება,

– საერთო თანამშრომლობის მოვალეობები და სხვა.

ურთიერთობა ხალხსა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის რეგულირდება კანონის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს კანონის ნორმებს და მოვალეობებს. ბუნებათსარგებლობის საქმიანობა, ეხლახან ჩადგა რეგლამენტირებულ ნორმებში. ჯანმრთელი გარემოს შენარჩუნება ექვემდებარება ახალი თაობების უფლებებს. მასში ჩართულია ცალკეული ქვეყნების კონსტიტუცია და ითვალისწინებს არაეკოლოგიურ ქმედებებზე პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო თანამშრომლობა. გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და ღონისძიებები. ეკოლოგიური პრობლემების გლობალიზაციის იდეა ეკოლოგიური კრიზისის საფრთხის ზრდასთან ერთად ვითარდებოდა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი უპირველესი ნაბიჯი - გარემოს დაცვის სამართლებრივი პრინციპების დამუშავება იყო. XX საუკუნის შუა პერიოდის შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივი საკითხები რამდენიმე დოკუმენტში აისახა, რომელთა შორის ძირითადია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის (1962, 1968, 1980) და სტოკჰოლმის კონფერენციის (1982) გადაწყვეტილებები, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი თათბირი (ჰელსინკი, 1975), ბუნების დაცვის მსოფლიო ქარტია (1986), გაეროს საერთაშორისო კონფერენციის მასალები გარემოსა განვითარების დარგში (რიო-დე-ჟანეირო, 1992) და სხვ.

ამ დოკუმენტების მიხედვით, ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები გარემოს დაცვის დარგში შემდეგია:

— სახელმწიფო სუვერენიტეტი საკუთარი ტერიტორიის ბუნებრივ რესურსებზე,

— ქვეყნის ეკოლოგიური კეთილდღეობის არდაშვება სხვა ქვეყნების ხარჯზე,

— ეკოლოგიური ინფორმაციის შეუფერხებელი საერთაშორისო გაზიარება,

— სახელმწიფოთა ურთიერთდახმარება საგანგებო ეკოლოგიურ სიტუაციებში,

– ეკოლოგიურ-სამართლებრივი დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით.

ჩამოთვლილი პრინციპები დსთ-ს ქვეყნებზეც გავრცელდა, რომელთა მეთაურებმა 1992 წელს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში. გარემოს დაცვას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია განაგებს. წამყვანი როლი გაეროს და მის სპეციალიზებულ ქვედანაყოფებს აქვთ. მათ შორის ერთ-ერთია ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომლის ხელმძღვანელობით მოღვაწეობენ ნაციონალური და რეგიონალური კომისიები და კომიტეტები.

„იუნეპი“ 1972 წლის დეკემბერში შეიქმნა. მისი მოღვაწეობის ძირითადი სფეროებია: ადამიანის ჯანმრთელობა, მიწებისა და მტკნარი წყლების, მსოფლიო ოკეანის, ცხოველებისა და გენეტიკური რესურსების დაცვა, ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება, განათლება,

ეკონომიკისა და ტექნოლოგიების საკითხი.

„იუნესკო“ 1948 წელს შეიქმნა; მისი შტაბ- ბინა პარიზშია. ძირითადი საქმიანობაა: ეკოლოგიური პროგრამების ხელმძღვანელობა

(მაგალითად, პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“, საერთაშორისო პროგრამა განათლების დარგში და სხვ.), მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და დაცვა, დახმარება განვითარებადი ქვეყნებისათვის სპეციალისტ-ეკოლოგთა მომზადებაში და სხვ.

1992 წლის ოქტომბერში შეიქმნა იუნესკოს საქმეთა საქართველოს კომისია, რომლის სამდივნო საგარეო საქმეთა სამინისტროშია განთავსებული. კომისია დაკომპლექტდა განათლების, მეცნიერების, კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლობით და ცნობილი საზოგადო მოღვაწეებით. 1994 წელს იუნესკოს შტაბ-ბინაში შეიქმნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა. საქართველოში განვლილი წლების მანძილზე იუნესკოს ეგიდით მრავალი ღირსშესანიშნავი ნაბიჯი გადაიდგა. ეკოლოგიურ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია **ეროვნული და საერთაშორისო „მრგვალი მაგიდები“ ეკოლოგიური განათლების საკითხებზე; პროექტი „სასაზღვრო ბიორეზერვანტების ჩამოყალიბება სამხრეთ კავკასიაში“,**

ეკოლოგიური პროფილის კათედრები, 2001 წელს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიასთან ჩამოყალიბდა ეკოლოგიური საბჭო.

1970 წელს იუნესკოს ჩარჩოებში შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა („საერთაშორისო ბიოლოგიური პროგრამის“ გაგრძელება) – „ადამიანი და ბიოსფერო“ (MAB), რომელსაც ხელმძღვანელობს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო და ეროვნული კომიტეტები.

1978 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა MAB-ის ეროვნული კომიტეტი, რომლის პირველი პრეზიდენტი იყო აკადემიკოსი ლეონიდე გაბუნია.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) 1961 წელს დაარსდა. ფონდის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია: ტყეების, მტკნარი წყლების, ოკეანეებისა და სანაპიროების დაცვა და რაციონალური გამოყენება; იგი ორიენტირებულია აგრეთვე ცხოველთა იშვიათი სახეობების შენარჩუნებაზე, კლიმატის ცვლილების მიზეზების დადგენაზე, ტოქსიკურ ნივთიერებათა შეზღუდვაზე და ა. შ.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის წარმომადგენლობები 100-მდე ქვეყანაშია შექმნილი. 1992 წელს ფონდის ოფისი საქართველოშიც დაარსდა. 2002 წლის ივნისიდან იგი აფართოებს მოღვაწეობის არეალს და მუშაობას იწყებს მთელი კავკასიის მასშტაბით. WWF-ის კავკასიის ოფისის საქმიანობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. ესენია: დაცული ტერიტორიების სისტემის სრულყოფა, ბიოლოგიური სახეობების კონსერვაცია და რეინტროდუქცია, ტყეების აღდგენა და მათი მდგრადი გამოყენების საფუძვლების სრულყოფა. 90-იან წლებში საქართველოს ოფისში ხორციელდებოდა ეკოლოგიური განათლებისა და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი პროგრამა.

უკანასკნელ წლებში ყურადღების ცენტრშია კავკასიის მტკნარი წყლების ეკოსისტემების შესწავლა (პირველ რიგში, ჰიდროენერგეტიკის განვითარებასთან მიმართებაში) და ეკორეგიონული კონსერვაცია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეიქმნა 1946 წელს. ძირითადი საქმიანობაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა.

საერთაშორისო სააგენტო ატომური ენერგეტიკის დარგში შეიქმნა 1957 წელს ბირთვული უშიშროებისა და რადიოაქტიური გაბინძურებისაგან დაცვის მიზნით. **გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია** შეიქმნა 1947 წელს. მისი ამოცანაა პლანეტის კლიმატზე ანთროპოგენური ზემოქმედების შესწავლა.

გაეროს სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო ორგანიზაცია დაარსდა 1945 წელს. მისი მოღვაწეობის სფეროებია სახელმწიფოთა კოორდინირება მეურნეობის და სურსათის სფეროში. თანამშრომლობს „იუნესკოსთან“, „იუნეპთან“.

სკოპე შეიქმნა 1970 წელს, შეიცავს რამდენიმე დამოუკიდებელ საერთაშორისო პროექტს.

ჩამოთვლილი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, ბუნების დაცვის და ბუნებათსარგებლობის დარგში მრავალი სხვა, შედარებით მცირე ორგანიზაციაც ფუნქციონირებს, მაგალითად, პოტენციურად ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო რეგისტრი, გაეროს სპეციალური ბიურო სახელმწიფოთათვის დახმარების აღმოჩენის დარგში სტიქიური უბედურებების დროს, ევროპული ეკონომიკური კომისია (მუშაობს მცირენარჩენიან და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვაზე), ჰელსინკის კომიტეტი ბალტიის ზღვის დაცვის დარგში. სხვადასხვა დროს შედგა მრავალი საერთაშორისო თუ რეგიონალური კონვენცია და შეთანხმება, რომელთა შორის აღსანიშნავია: **კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია,** შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის კონვენციები, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიის, ოზონის შრის დაცვის, სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების და მათ განთავსებაზე კონტროლის კონვენციები, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის, ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციები და ა. შ. ამ კონვენციებს სხვადასხვა დროს საქართველოც შეუერთდა.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონფერენციებიდან აღსანიშნავია:

გაეროს სტოკჰოლმის კონფერენცია გარემოს დაცვის დარგში, რომელიც 1972 წელს შედგა; მიიღო ორი ძირითადი დოკუმენტი: I – ადამიანის უფლებები ჯანსაღ საარსებო გარემოზე და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და II – სახელმწიფოთა სუვერენიტეტი საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე და პასუხისმგებლობა გარემოს მდგომარეობაზე.

ევროპაში უშიშროებისადმი და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი თათბირი – შედგა ჰელსინკში 1975 წელს ევროპის ყველა ქვეყნის, აშშ და კანადის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მისი დასკვნითი აქტი საფუძვლად დაედო ორ დოკუმენტს: ატმოსფერული ჰაერის ტრანსსასაზღვრო გაბინძურების (1979) და ტრანსსასაზღვრო სამრეწველო ავარიების უარყოფითი ზემოქმედების შეზღუდვის (1992) კონვენციებს.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ვენის თათბირი – შედგა 1986 წელს. მისი დასკვნითი დოკუმენტი ეხება SO2-ის, ნახშირწყალბადების და ატმოსფეროს სხვა გამაბინძურებლების შეზღუდვას, საშიში ნარჩენების უვნებელყოფას, ოზონის დამშლელ ნივთიერებათა წარმოების შეზღუდვას და ა. შ.

გაეროს კონფერენცია გარემოს დაცვისა და განვითარების დარგში – ჩატარდა რიო--დე-ჟანეიროში 1992 წელს; მის მუშაობაში მონაწილეობდა 178 ქვეყნის 15 000-მდე დელეგატი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია **სამთავრობათაშორისო კონფერენცია გარემოს დაცვითი განათლების დარგში, რომელიც 1977 წელს თბილისში ჩატარდა. შეიქმნა მრავალმხრივი დოკუმენტი „თბილისის დეკლარაცია“, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს სახელმძღვანელო მნიშვნელობა.** კონფერენციამ შეიმუშავა ეკოლოგიური განათლების ახლებური პრინციპები როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო მასშტაბით. დეკლარაციის თანახმად, **გარემოსდაცვითი განათლება უნდა იყოს ზოგადი განათლების ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და უნდა მოიცავდეს მოსახლეობის ყველა ფენას პროფესიის და საქმიანობის მიუხედავად.**

1999 წელს თბილისში ჩატარდა პირველი ეროვნული კონფერენცია საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მსოფლიო ბანკის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის, გარემოს მონაცემთა გლობალური ბანკის და სხვათა 120-მდე წარმომადგენელმა. კონფერენციაზე შეჯამდა დედამიწის და ჩვენი ქვეყნის მონაცემები მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნების შესახებ. როგორც კონფერენციის მასალებიდან ჩანს, ბოლო დრომდე მსოფლიოში აღწერილია უმაღლეს მცენარეთა 270 000-მდე სახეობა, ძუძუმწოვრების 4700-მდე, ფრინველთა 9700-მდე, ქვეწარმავალთა 7000-მდე, ამფიბიების 4500-მდე, მტკნარი წყლის თევზების 25 000-ზე მეტი სახეობა.

კონფერენციის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესწავლის მდიდარი გამოცდილება გააჩნია. ეს ითქმის როგორც გენეტიკურ, ისე, მეტადრე, სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეებზე. უმაღლეს მცენარეთა აღწერილი სახეობების მიხედვით საქართველო მე-60 ადგილზეა მსოფლიოში, ძუძუმწოვრების მიხედვით 89-ე ად-

გილზე, ფრინველების მიხედვით 73-ე, ქვეწარმავლების მიხედვით 74-ე, მტკნარი წყლის თევზების მიხედვით კი 39 ადგილზე.

ფაუნის საერთო მრავალფეროვნებით საქართველო 71-ე ადგილზეა მსოფლიოში და პირველ ადგილზე ევროპაში; ენდემური სახეობების რაოდენობის მიხედვით – 56-ე ადგილზე; ბიომრავალფეროვნების მაჩვენებლით რეგიონის ფართის მიხედვით (ე.წ. BDI ინდექსი) საქართველოს 36-ე ადგილი უკავია მსოფლიოში, ევროპაში კი პირველი ადგილი.

ქართველ მკვლევართა მონაცემებით, საქართველოს ფლორის დაახლოებით 21% (900-მდე სახეობა) ენდემურია. აქედან 600-მდე სახეობა კავკასიის ენდემია, 300-მდე სახეობა კი საქართველოსი. ობობასნაირთა დადგენილ 1300-მდე სახეობიდან 2% საქართველოს ენდემია. ამფიბიების ანალოგიური მაჩვენებლებია 13 და 3%, რეპტილიებისა - 52 და 15%, ფრინველებისა - 322 და 3%, ძუძუმწოვრებისა - 105 და 38%.

მწვანეთა მოძრაობა

ერთ-ერთი პოლიტიკური მოძრაობა, რომლის საქმიანობა გარემოს დაცვას ემსახურება, „მწვანეებია“. განსაკუთრებული აქტიურობით მწვანეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში – ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და სხვ. გამოირჩევიან; გერმანიაში ისინი ბუნდესტაგის შემადგენლობაში შედიან. „მწვანეებს“ შორის არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთ-ერთი მათგანია „გრინპისი“, რომელიც 13 ნაციონალურ მოძრაობას აერთიანებს.

ეს საერთაშორისო ორგანიზაცია 1971 წელს შეიქმნა, მისი შტაბ-ბინა ამსტერდამშია. „გრინპისის“ პროგრამა ძალზე მრავალფეროვანია; იგი ეხება **ცოცხალი ბუნების ყველა წარმომადგენლის და გარემოს არაცოცხალი კომპონენტების დაცვას, ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით განათლებას; „გრინპისი“ ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.**

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა 1988 წელს ჩამოყალიბდა. მოძრაობის ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ბატონი ზურაბ ჟვანია იყო. .იმთავითვე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ძირითადი მიზანი იყო **მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვა და ა. შ.** სხვადასხვა დროს მწვანეთა მოძრაობა აქტიურად გამოდიოდა საქართველოში მსხვილი სამეურნეო ობიექტების მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურად მომგებიანი ყოფილიყო, მაგრამ მისგან მიყენებული ზიანი გამოუსწორებელი იქნებოდა გარემოსათვის.

მოგვიანებით, მწვანეთა მოძრაობის წიაღში, ჩამოყალიბდა მწვანეთა პარტია – ევროპის ფედერაციის წევრი, რომლის ერთ-ერთი მიზანია მთავრობის მიერ ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას სათანადო ქმედებების განხორციელება გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებისათვის.

დასკვნა. ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, ეკოლოგიური და მდგრადი განვითარების სტაბილური და ბალანსირებული მდგომარეობის რეგულირება მოითხოვს განსაზღრულ კანონს, რომელიც დაფუძნებული იქნება ქვეყნის კონსტიტუციაზე და საერთაშორისო და ადგილობრივ ნორმებზე

ლიტერატურა:

1.საქართველოს კონსტიტუცია

2. კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

3. ადმინისტაციული კოდექსი

4. გარემოს დაცვის სამინისტროს წლიური ანგარიშები

5.Khantadze A, Gzirishvili T, Arveladze G, On the Mathematical Model of Sustainable Development of Georgia. Proceedings of the Institute of Hydrometeorology, Tbilisi, 20022, vol. 104, pp. 112-117

Legal Basis for Ecological and Sustainable Development

D. Chkhirodze, R. Lortkipanidze, N. Chachkhiani

Summary

Regulating a stable and balanced state of ecological and sustainable development requires a defined law, which will be based on the country's constitution and international and local norms.The law finds its full development only in democratic conditions. It is affirmed as the highest law, i.e. a legal state is created.

საქართველოს დემოგრაფიული და ურბანული განვითარების თანამედროვე გამოწვევები

ნანა ბერძენიშვილი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

აბსტრაქტი: *ნაშრომი განიხილავს საქართველოს დემოგრაფიული და ურბანული განვითარების თანამედროვე გამოწვევებს. კვლევის მიზანია მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებების, ურბანიზაციის პროცესების, შიდა მიგრაციისა და მოსახლეობის სივრცითი განაწილების თანამედროვე ტენდენციების ანალიზი. ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი კვლევის მეთოდები, ხოლო ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის 2024 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყანაში გრძელდება მოსახლეობის კონცენტრაცია ურბანულ დასახლებებში, განსაკუთრებით თბილისში, რაც ერთდროულად განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და რეგიონული განვითარების უთანასწორობის გაღრმავებას. დემოგრაფიული დაბერება, მიგრაციული პროცესები და სოფლის მოსახლეობის შემცირება რჩება ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევებად. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს დაბალანსებული რეგიონული და ურბანული პოლიტიკის მნიშვნელობას საქართველოს მდგრადი და სულიერი განვითარებისათვის.*

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, ურბანიზაცია, მოსახლეობის აღწერა, მიგრაცია, აღწარმოება.*

თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიული და ურბანული პროცესები სახელმწიფოთა განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა. მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, მიგრაციული ნაკადების